



ზით მომავალი აღმორჩევებში მოხსენებულნი
ოცდა-ცამეტი ქალი მიიღეს მონაწილეობას.

ზრანცია.

შ ფ ო თ ი ს ა მ ტ ე ხ ი ა მ ბ ა ე ი. Indépen-
dence Belge 20 სექტემბერს იწერებინა პარი-
ჟიდან. ძილში რომ პრუსიის კაროლმა სიტყ-
ყვა წარმოსთქვა, იმან ძალიან შეაშფოთა და
გააჯაღრა ზრანციის საზოგადოება; და ჯერ
კიდევ ამ მძიმე შთაბეჭდილებისაგან თავი ვერ
უხსნია, რომ ის, როგორც სხანს, აპირებს,
დრომდის თავი დაანებოს ზერმანისა და ალ-
მოსავლეთისაკენ მოსძებნოს ომის დამწყები
მიზეზები. თუ ყურს დაუგდებთ იმ ხმებს, რომ
მელნიცა ვრცელდებიან პარიჟში იმაზე, რომ
ეთომც მსმალეთი აპირებს რუმინის სამ
თავროსთან ჩხუბის ატეხას, მაშინ ბეჯითად
დავრწმუნდებით, რომ ჩვენი აზრი ზრანციის
საზოგადოების შესახებ მართალია. ამბობენ,
მსმალეთს ეჭვი აუღიაო, ეთომც რუმინის
სამთავრო კდილობდეს თავი იხსნას იმას და-
მოკიდებულებისაგან და იმ განზრახვით რომ
შალახიაში ხელს უწყობდნო ბოლგარიის არე-
ულობას, ეთომც პორტას უნდაო ჯარების მო-
გროვება ლუნის მდინარეზე და როგორც
კოტა რამ მიზეზი გამოჩნდება, მაშინვე გა-
დაიყვანოს თავის ჯარი მდინარის გაღმა და
დაიჭიროს ბოლგარიო. მთავ. პაროლის პირვე-
ლმა მინისტრმა უ. ბრატინომ გაგზავნა
თავის ძმას დიმიტრი ბრატინოს პარიჟს ძა-
ლიან შემაშფოთებელი ამბავი ამ საქმის შე-
სახებ. იმან ეს ამბავი გადასცაო ზრანციის
უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს მუტუკს და
ლორდს ლაიონს. ამან დაარწმუნა, რომ ან-
გლიის მთავრობა ყოველს დონისძიებას მო-
იხმარებს, რომ მსმალეთს არა მოახდენინოს
რა რუმინის საწინააღმდეგო. ხოლო რაიცა
შეეხება ზრანციას, ის კი ცდილობს, რომ მსმა-
ლეთს ხელი არ ააღებინოს თავის განზრახვებო,
რადგანაც გულში აქვს საზოგადო ოპების
აღძვრაო მეროპაში. ჩვენ ვაცნობებთ ამ ამბავს
მკითხველებს ისე, როგორც გავიგია და ამა-
სთანავე ვარწმუნებთ იმათ, რომ ამ ამბავიდან
ერთი სიტყვა არა გვეჯერა, რომ მართალი იყოს.
ჩვენ შევიტყვებთ სასარგებლოთ, დაუყოვნე-
ბლივ გადგვეცა მკითხველებისათვის, რომ
იმათ შეიტყონ, რახასიათისანიც არიან ამგვარნი
ამბავნი და შემდეგ აღარ შეშფოდიდნენ, თუ
კიდევ გაგრძელდეს ამისთანა ამბავი. . . .
შესაძლებელია, რომ მსმალეთი გააძლიერებს
თავის ჯარს ბოლგარიაში, რომ მშვიდობა
დაამკვიდროს ამ მხარეს; ისიც შესაძლებელია,
რომ მსმალეთის მმართველობა გულაღელვე-
ბით უყურებდეს რუმინის მთავრობის მოქმე-
დებას, მაგრამ აქედან ის ხომ არ შეიძლება
იფიქროს კაცმა, რომ მსმალეთის მთავრობას
ჰსურსო რუმინის მმართველობა გადაავლას
და აღძრას მეროპაში საერთო ომიანობა მხო-
ლოდ იმ განზრახვით, რომ ზრანციის იმპე-
რატორს ასიამოვნოსო.

პრუსია.

პ რ ო ს ი ი ს კ ა რ ო ლ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ძ ი ლ შ ი. ძილიდან იწერებინა 15-ს სექტემ-
ბერს საჯაროხნო გაზეთში: „ზუშინ სალა-
მოს 6 საათზე კაროლი მოვიდა ძილს და
გამოუთქმელის აღტაცებით მიეგებნენ რო-
გორც ძილის მცხოვრებნი, ისე გარემო მდე-
ბარე მახრების მცხოვრებნიცა, რომელნიცა
მოვიდნენ იქ კაროლის სანახავათ. რკინის
გზის სტანციისწინ ირგვლივ დაემწყვრივებინათ
ხომალდის ანძები, რომელნიც მწვანელებით
მოერთოთ და ზედ-მოეწყვით მახრების და ქა-
ლაქის გერბები და ბაირალები. რკინის გზის
სტანციაზე იყო დაყენებული უმდიდრეს ვა-
ჭრებისაგან ყარაულები. ძმაყოფილებით
მოსმინა მუნებურის მთავრობისაგან მისაგე-
ბელი სიტყვა და ეკიპაჟით წაიდა ძველს კო-
შკში. ძოშკთანაც ყარაული იყო დაყენებუ-
ლი და ზღვის ჯარის ერთი რაზმი მუზიკის
კერით მიეგება კოშკთან. ძოშკში იყვნენ შეკრე-
ბილნი მუნებური მთავრობის პირნი. ბრათის

რევეტლოვის სიტყვაზე კაროლმა შემდეგის
სიტყვით გაჰსცა პასუხი „გადაღობთ ყოველის
კარგის სურვებისათვის და რწმუნებისათვის,
რომ მამავალი უკეთესი იქნება. მკ, რამდენ-
ნი შეშფოთება გამოცხადეთ, როგორი სა-
ქვეყნო ამბები მოხდა წინათ იმისა, ვიდრე
ამ მყოფრო ნავსადგურში შემოვიდოდით, ვი-
დრე თქვენთვის შესაძლებელი იქნებოდა მა-
გისტანა სიტყვის წარმოთქმა და ჩემთვის მა-
გისი მოსმენა. ჩვენ ვცხოვრებთ წარმავალს
დროში და ამ მდგომარეობას აქვს ჩვენზე
გავლენა. ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთს გაუ-
ადვილოთ ურთიერთობრივი შრომა. ჩვენი
წადილი უნდა იყოს ისა, რომ დავამზავსოთ
პრუსიას ეს მხარე, რომელსაც თავისებური
დაწესებულება აქვს, იმდენათ, რომ პრუსიის
საზოგადო დაწყობილება ამ მხარისათვის სა-
სარგებლო იყოს. თუ ერთ-ულობით ვი-
მოქმედებთ, ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთს
გაუადვილოთ ჩვენ-ჩვენი განზრახვის ასრუ-
ლება. ამისთვის საჭიროა, რომ თქვენ იზრუ-
ნოთ იმ თესლის დაბრუნებისათვის, რომელი-
ცა უკვე დაითესა ჩემი ხელით და იმ თესლის
გახარებისათვის, რომელიც აწ უნდა დაეთესო,
თუმცა ნაყოფის მოკრეფა ჰხდება ჩემს მემკვი-
დრეებსა.

შნივერსიტეტის წარმომადგენელს, რექტო-
რს, პროფესორს და საეკლესიო მოძღვარს
ლუდვიგს, რომელმაც თავის სიტყვაში ისუ-
რვა მშვიდობიანობის დაურღვეველობა მერო-
პაში. უთხრა კაროლმა: ჩემთვის მეტად სასი-
ამონია იმ უნივერსიტეტის წარმომადგენე-
ლის ნახვა, რომელსაც ენახიან მეცნიერების
ლაშკარსა. ჩემი წინაპარნი ხელმწიფენი მუდამ
ცდილობდნენ მეცნიერებისთვის ხელი შეეწე-
ყოთ. ჩემის მხრით მეც, ძლიან ვეცდები წარ-
მატების გზაზე დავეყნო ძილის უნივერსი-
ტეტი. არაინ ისე ცოცხლათ არ გრძობს
მშვიდობის საჭიროებას, როგორც მე. ხელმ-
წიფისთვის ყოველთვის ძალიან ძნელია წარ-
მოსთქვას რმის სახელი, როდესაც იცის, თუ
რა პასუხის გებას მიეცემა ლეთის წინაშე:
მაგრამ დადგება ხოლმე იმისთანა დრო, რო-
დესაც იმან უნდა იყოსო ხოლმე ამისთანა
მოვალეობა. თქვენ თვითონ იყავით მოწამე
ამა მხარეში, რომ ომის დაწყება ხან და ხან
საჭიროა ხალხისათვის და ხელმწიფისათვის.
ასე გაშინჯეთ ის შემთხვევა, რომ ჩვენ ახ-
ლა დაუახლოვდით ერთმანეთს და მზათ ვართ
ერთსულობით ვიმოქმედოთ, შეიძლება გახ-
დეს ომის აღძვრის მიზეზათ. ამასაც გეტყვით,
რომ მეროპაში მე იმისთანას არას ვხედავ,
რომ იყოს ომის დაწყების მიზეზი. თქვენ
მაშინ კიდევ უფრო უნდა დარწმუნდეთ
მშვიდობის შეუცვლელიობაზე, როდესაც შე-
ხედავთ აქ ყლორისა და ჯარის წარმომადგე-
ნელთ, რომ ლნიც არიან ძლიერნი მცველნი
მამულისა. ჩემმა ჯარმა და ფლოტმა უკვე
დაამტკიცეს, რომ ისინი მამაყურად იბრძვიან
და დიდებით იმოსებიან, როდესაც შეემთხვე-
ვათ ხოლმე ომში ყოფნა.

ისპანია.

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ს პ რ ო -
კ ლ ა მ ა ც ი ა. ზაზეთები გვატყობინებენ შემ-
დეგ პროკლამაციას, რომელშიაც არის დემო-
კრატიული პარტიის პროგრამა. „ისპანიელ-
ნო! მრთხმე შეესახოთ: გაუმარჯოს მოკაე-
შირე რესპუბლიკას, დავაზოთ ტირანია! ნუ-
ღარ ვიხილავთ ჩვენს ქვეყანაში კოროლებს,
რომელთაგან ამდენი უბედურება დაგვწვევია.
მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლიან აღასრუ-
ლოს ხალხობრივი, დემოკრატიული პროგრამა,
რომელიც არის მხოლოდ აღმასრულებე-
ლი ხალხის სურვილებისა. სალდათებო! რეს-
პუბლიკა მსწრაფლ გაგიშვებთ შინ და, მო-
ეხვევით რა თქვენს მშობლებს, იტყვი: „მა-
დლობა რესპუბლიკას! თქვენ აღარ იგლო-
ვებთ თქვენი შვილების განზორებას, და ამი-
ერიდგან ისინი თქვენთან ერთად იმუშავენ!“

ამერიდგან ისპანია გააშვილებს ხმალს მხო-
ლოდ თავის დამოუკიდებლობის დასაცველად.
პარტიოტი აფიცრებისთვის კი, მათი სამსახუ-
რის დასაჯილდოებლად, შესდგება მრავალი
სარეზერვა კადრები. ისპანიელნო! მხოლოდ
რესპუბლიკის დროს შეგვიძლიან ვყოთ თავის-
უფლები ბენდიერნი და მდიდრები. მხოლოდ
რესპუბლიკის დროს ექნება საკუთრებას თავ-
დები და გავრცელდება შრომის ნაწარმოები
კეთილდღეობა. ბოლოს მხოლოდ რესპუბ-
ლიკის დროს შეგვიძლიან ჩვენ ხარჯი და
ბეგარა. არაინ არ დასჯება თავის აზრის-
თვის, ამიტომ რომ რესპუბლიკა ყველა აზრს
საღმრთოდ პრაცხავს, გარნა მტარველთ იძუ-
ლებულ ჰყოფენ ნაკარცი ქონების დაბრუ-
ნებას, ამიტომ რომ დანაშაულობა არ შე-
დგენს აზრს. ტირანის მომხრენი მიიღებენ
ღირსეულ ჯილდოს. ისპანიელნო! მიქნეთ
ღარსეულ შთამომავლობად სიღისა, პადი-
ლოსაი, ლაპუტისა და ბიეგოსი. აღვად-
გინოთ ძასტილიის და პარაგონის უწინდე-
ლი თავისუფლება და 1812 წლის სახალხო
კონსტიტუცია, გარნა შეუფარდოთ იგინი ამ
დროების მოთხოვნილებას. თანა მოქალაქე-
ნო! მივემსგავსოთ 1808 და 1838 წელთ სა-
სარგოსელებს. სალდათებო! იყავით მამუ-
ლის ძენი; მიჰყევით ბაეგოსა და მსპარენ-
ტოს მომხრეთ კვალს. თქვენ რომ გიბრძა-
ნონ თქვენი ძმების სროლა—თათვები დაუშ-
ვით. ისპანიელნი რამდენიმე საუკუნო მარე-
ბსა და რომაელებს ებრძოდნენ; და აწ საქაოა
ერთი სიტყვა, რომ დავაბოლოოთ საქმე ჩვენ
შემაიწროებლებთან. ისპანიელნო! აწ ჩვენ
ყველა მეროპის ხალხზე მომეტებით ვართ
დამცირებულნი; გავიღვიძოთ ხანგრძლივი ძი-
ლისაგან და განვახლოთ ღვაწლნი 1808,
1812 და 1820 წელთა. ისპანიელნო! ბაუ-
მარჯოს საკეშირო რესპუბლიკას! აღესდგეთ
დამცირებიდან და დაეფაროთ რესპუბლიკა.
მივეოთ ხელი თოფიარადს—თავისუფლებისა-
თვის!“

ნაციონალური მმართველობის აგან.

ტ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ მ ბ ი.

(პეტერბურგში მიღებული).

პარიში, 7 (19) სექტემბერს. ზაზეთ-
ში იწერებინა, რომ ისპანიის აღრეულობის
მოთავეები არიან ვენერლები: ლულიე და
პარიმი.

მადრიდი, 7 (19) სექტემბერს. კონ-
ტრა აღმირალომა ტოპეტემ და მთელმა ფლო-
ტმა, რომელიც ძადიკს ნავთ-საყუდელში
იმყოფებოდა აღრეულობის იალქანი გაშალა.
ამავე დროს ისპანიის საეპრო გემით, ბუონ-
ავენტი ურათი მოვიდნენ ძადიქსში. ძანარის
კუნძულებზე განდენილი ისპანიის ვენერ-
ლები, ძადიქსის გარნიზონმა მიიღო რა პრო-
უნციამენტო *), მაშინვე მოსული ვენერლე-
ბი ნაპირზე გამოვიდნენ. აღდგომილების წი-
ნამძღვარი არის, სენატში პრეზიდენტად ნამ-
ყოფი, მარშალი გერკოგი ტორრე.

ამტკიცებენ, რომ ეს აღრეულობა არის
მომხდარი კაროლგა იზაბელას დინასტიის
(ჩამომავლობის) წინააღმდეგ. ამდგარნი ით-
ხოვენ, რომ დადგინდეს კონსტიტუციური
კორტესები **) და დროებითი მმართველობა.

ანდალუსიაში ტელეგრაფის მეთულები
დაწყვიტეს. ძადიქსის აღრეულობის შემდეგ
ისპანიის სხვა მახრებშიაც მოხდა აღრეულო-
ბა. სასახლე თავს ზარ დაცემულსავეთ არის.

*) პროუნციამენტო ჰქვიან ისპანიაში და სახარბ-
თის ამერიკის რესპუბლიკებში იმ აქტს (გუჯარს, სა-
ბუთს), რომლის ძალით სამხედრო უცროსს შეუძლიან
გამოაცხადოს თავის თავი მმართველობის წინააღმდეგად.

**) კორტესები ისპანიაში და პორტუგალიაში ჰქვი-
ან წარმომადგენელთ კრებებს, რომელთაც ვალად ჰდევს
სხვა კანონების შესახებ და ხმის მოკრეფით დამტკიცე-
ბა მათი.

მადრიდიდან ჯარები გაგზავნეს მადრიდში
ზზე. მარშალი ძონჩა მმართველობამ ანდა-
ლუსიის მთავარ მმართველად დანიშნა. ხმა
გავარდა, ეთომც კაროლგა იზაბელლამ
ტახტზედ უარი ჰყოფო.

— 8 (20) სექტემბერს. კაროლგა
იზაბელლა მადრიდს დაბრუნდა; იმპერატორი
ნაპოლეონი არ უნახავს. მადრიდში გამოაც-
ხადეს სალაშქრო მდგომარეობა.

— სამინისტრო სამსახურიდან გადადგა.
ახალი კაბინეტის შედგენა მარშალ ძონჩას
მიანდეს. მანდგომილებმა დაიპყრეს სევილია
და მთელი ანდალუსია. მმართველობასა და
განდგომილებს შუა მოლაპარაკება დაწყო.
იმის შესახებ, რომ კაროლგა იზაბელლამ
ტახტზედ ხელი აიღო—იმაზე ჯერ დაწერი-
ლებით არა იციან რა. ტელეგრაფის მეთუ-
ლები დაწყვეტილა. აქ საშინელი არეულო-
ბაა.

პარიში, 10 (22) სექტემბერს. მო-
ნიტერში დაბეჭდილია ბიულეტენი, საი-
დანაც ვიტყობთ, რომ მარშალი ძონჩამ
თავამოდებული განკარგულებები მოახდინა
განდგომილების წინააღმდეგ. სალაშქრო მდ-
გომარეობა გამოაცხადეს.

— როგორც ვაზეთი Liberté ამბობს, ის-
პანიის აღრეულობა ძათლონისა და პარა-
გონიაშიაც გავრცელდა. ძადიქსი და პართა-
გენა განდგომილების ხელშია.

ზაზეთი France-ში სწერია, რომ კაროლგე-
ვა იზაბელლასაგან ტახტზედ ხელის აღება
ტყუილიაო.

მონიტერში იწერებინა, რომ მარშალ-
მა ძონჩამ ყველგან სალაშქრო მდგომარეობა
გამოაცხადა.

შლოკენსია, 9 (21) სექტემბერს.
მენოტტი ბარიბალდის ბუხარესტში ყოფნა
ტყუილიაო.

ლონდონი, 10 (22) სექტემბერს.
Times-ში დაბეჭდილია დღეს მადრიდიდან
მოსული ტელეგრამა, რომელიც გვაცნო-
ბებს, რომ გენერლები: პარიმი და როდა გან-
დგომილებითურთ მადრიდზე მიდიან.

ნიუ-იორკი, 29 აგვისტოს (10 სექ-
ტემბერს). ახალი მექსიკისა და ძოლო-
რადოს შტატებში რომ ძანონის-მდებელი კრე-
ბისთვის წარმომადგენელთ არჩევდნენ, უწინ-
დელზე მეტად გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა.

პარიში 12 (24) სექტემბერს. ზაზეთში
Gaulois გვწერენ, რომ რევოლუციის კამიტე-
ტმა ისპანიაში გამოაცხადა 8 სექტემბერს:
რომელი აფიცარიც ბრძანებას გასცემს, ხალხს
ესროლეთო, ის შეიერიცხება სამშობლოს
მტრათო.

ზაზეთში „ვიგარო“ სწერენ, რომ გენერალ-
კაბიტანი მალენციისა მოუკლავთ. ისპანიის
შლოტში აღდგომა მთავრობის წინააღმდეგ.
მსპარტეროს რეზიდენცია ლაგონი მთავრო-
ბის მოწინააღმდეგებს მიუღდა. მს შემთხვევა
დიდ საქმეთ მიანიათ რევოლუციის წარმა-
ტებისათვის.

მთავრობის ჯარი ორი პოლკი, როგორც
სხანს, გადაუდგენ მთავრობას და შეუერთდენ
მოწინააღმდეგებს.

მადრიდი, 11 (23) სექტემბერს. ბუ-
შინ ძალაქმა ბურგოსმა განდგომილების მხა-
რე დაიჭრა. ხუთის საათის განმავლობაში სა-
შინელი თოფის სროლა და ბრძოლა იყო და
შემდეგ კი ჯარმა და ხალხმა ერთმანეთს და-
უწყეს კოცნა და შერიგება. მთავრობის უფ-
როსები გაიქცნენ ქალაქიდან.

შველა ქალაქებში, რომელნიც მთავრობას
განუდგენ, დროებით მმართველობამ იუნტები
დააწესა. მომეტებული სიფიცხე ხალხს არსად
არ აღმოუჩენია.

13 (25) სექტემბერს. აქ ოფიციალუ-
რათ გამოცხადებულა, რომ გენერალი ძალო-
ზე, რომელიც მთავრობის ჯარს წინუძღოდა,
ფიცის ბრძოლის შემდეგ შევიდა სენტა-
ნდერის ქალაქში. ინსურგენტები დამარცხ-
დნენ და თავიანთ ხომალდებზე წაიღენ.

თელისში მიღებული.

პატივგაზრდი, 16 სექტემბერს. ისპანიიდან მოსული ამბები გვატყობინებენ, რომ გენერალ პრიმს ბარსელონაში მიელოდებოდა; პრიმის მისვლის უმალ იქაური მცხოვრებნი განდგომილებს მიემხრობიან. შიქრობენ, რომ მადრიდი და სარაგოსა ბარსელონას მავალითს მიჰყვებიანო. შიქრის მისვლა-მოსვლა მოსწყდა.

Patrie-ში სწერია 16 სექტემბერს, რომ ისპანიის საქმეთ მდგომარეობა ეხლა უფრო ცუდად არისო: უკანასკნელი საკაროლო სამხედრო გემი განდგომილებს მიემხროვო.

მინისტრის სიტყვით სერანოს წინამძღვრობის ქვეშ მყოფი განდგომილები ჯერ არ შეჭვენდებიან მმართველობის ჯარებს, რომელთაც უძღვის მარკიზი ნაეახილესი. ამ ომს მნიშვნელობიანი შედეგები ექნება.

— 20 სექტემბერს. მადრიდიდან მოსული 17 სექტემბერის ამბები გვატყობინებენ, რომ მმართველობის ჯარები ძარბოვით დაუშარსებიათ განდგომილებს. მარკიზი ნაეახილესი დაჭრილა და მადრიდს დაბრუნებულა; მაშინ იქ საშინელი აღრეულობა მომხდარა. ლაუფუნებიათ დროებითი მმართველობითი იუნტა; ამ იუნტას გამოუტყდავებია ისპანიის ტახტებიდან, ეხლანდელი დინასტიის (გარეულობის) გადადგება, საყოველთაო ხმის მიცემა და კორტესების კრება კონსტიტუციური კრების მსგავსად. სამმართველო შენობებიდან და სასახლის ვაჭართ ღუქნებიდან საკაროლო გერბები ჩამოუღიათ.

ზნობითი, გონივითი და მსტატიკური ბახსნა.

სტატია პირველი. (შედეგი იქნება).

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კეთილ-მოქმედება აბსოლიუტურად საჭიროა კაცობრიობის ბედნიერებისათვის. იგი არის უპირველესი შემადგენელი ნაწილი ამ ბედნიერებისა და სადაც კეთილი არ არის, იქ არც სრული ბედნიერება შეიძლება. აქ საჭიროთა ერთგვარად გავარკვიო, რას აღნიშნავს სიტყვა: „ბედნიერება.“ ლექსი „ბედნიერება“ არ უჩვენებს რაიმე წარტოლებილს იდეას, არამედ იგი საზოგადო გრძობა, რომელიც წარმოსდგება უმრავლესს კერძო შთაბეჭდილებათაგან: ეს არის ჯამი მრავალის სასიამოვნო გრძობებისა. მაშასადამე ეს ისეთივე ჰრთული ფაქტია, როგორათაც თვით ცნობაც (сознание), სიმართლე, გრძობა ჩვენის მყოფობისა და სხვა და სხვ. ბედნიერება არის კონკრეტული მთელი, ხოლო კეთილმოქმედება მისი შემადგენელი ნაწილი, და როგორც სიმართლე ჩვენ პირდაპირად გვასიამოვნებს და არ არის დამოკიდებული იმაზედ, წარმოვიდგინოთ თუ არა საზოგადო ბედნიერებას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ეს სიმართლე, ისე კეთილმოქმედება შეადგენს ჩვენთვის პირდაპირს საკეთესს, რომელიც არის ხასურველი თავის თავად და თავის თავისთვის, იგი არის არამთუ ღონისძიება ბედნიერებისადმი, არამედ შეადგენს ნაწილს უკანასკნელის მიზნისას, რომელიც არის ბედნიერება. ამას შემდეგ მკითხველს შეუძლიან დააფასოს მისი უდიდესი მნიშვნელობა კაცის ცხოვრებაში. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სადაც ეს სათნოება არ არსებობს, იქ კაცისთვის დახშულია უპირველესი წყარო ბედნიერებისა. აქ, მოკლებული ამ კეთილს, შეიძლება იყოს კმაყოფილი, რომელიც არის თვით უმდაბლესი ხასიათი ამ ბედნიერებისა და რომელიც არის კუთვნილება გაუხსნელის კაცისა; იგი ვერ შეიქმნება ვერას დროს იმ ღრმა და უძლიერესს უგრძობათ, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სრულს ბედნიერებათ და რომელსაც შემოაქვს ჩვენს არსებაში ნათელი და სიკაცობა. ამისთვის დიდად სასურველია, რომ აღზრდის შემწეობით ყოველს ყმაწვილს კაც-

ში გაიხსნას: სათნოების სიყვარული უმაღლესს ხარისხამდე. იმას უნდა ნათლად ვაგრძობინოთ, რომ კაცობრიობა აქამომდე უბედურებაში სცხოვრობს და დიდად სანატრელია, რომ მან მიხსნოს შესაძლებელს ბედნიერებას და გაუღვიძოთ მას სურვილი გააგრძელოს ბედნიერება მომეტებული სიბრტა ზედა. საწადელია, რომ იმის თვალის წინ გამოიხატებოდეს იდეალი საზოგადო ბედნიერებისა, რომელსაც უნდა ევლტოდეს მთელის თავის არსებით.

მეტი არ არის, რომ ამ გვარი სიყვარული სათნოებისა უნდა იყოს უანგარო... ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ უანგარო კაცის სიკაცობაში შესაძლებელი არ არის და გამოვლენ იმ შეხედულობიდან, რომ თავის მოყვარება და თავის-დაცვა არის დედა-კანონი ყოველის კაცის მოქმედებისა; გვეუბნებიან, რომ კაცი მოქმედებს მხოლოდ თავისის პირადის სიამოვნებისათვის. მე არას დროს უარ არა ვყოფ არც თავის მოყვარებას და არც თავის-დაცვას, მაგრამ ვამტკიცებ, რომ კაცის ხასიათში აგრეთვე იბრუნებია უანგარო მოტივები. მერაინი ვერ დაგვიმტკიცებს, რომ სიყვარული ჩვენის მოყვანისა იყოს წინააღმდეგი ჩვენის ბუნებისა, არამედ დაქვემდებარებული ვაშობთ, რომ საკმაოდ გახსნილს არსებაში, ის არის მოთხოვნილება შინაგანის ორგანიზმისა; უანგარობა არის კერძო ფაქტი იმ საზოგადო გრძობისა, რომელსაც ვუწოდებთ კაცთ მოყვარებას და წარმოსდგება ამ გრძობიდან და თუ თავის თავის სიყვარულთან შესაძლებელია სხვის სიყვარულიც, იმ გვარი სიყვარული, რომელსაც სახარება გვიწერს „შეიყვარე მოყვანი შენი, ვითარცა თავი შენი,“ უანგარობა რატომ აღარ შეიძლება? შანა ერთხელ და ორჯელ მოხდება, რომ კაცი სხვების სიკეთეს ანაცვალებს თავის სიკაცობის ისტორია? შანა დედის სიყვარული შეიღისადმი არ არის მომეტებული უანგარობა? რა ღარიბი და დაკეუმული შეიქმნება ქვეყნიერება, თუ არ იყოს ეს უანგარობა? რა ძნელი ასატანი და საშუალო იქნება ეს კეთილშობილის გულისათვის? წარმოვიდგინოთ, მკითხველო, ერთს წამს, რომ ყოველი კაცი ჩაღრმავდა თავის პირადს სარგებლობაში და მათემატიკურად გამოიანგარიშებს, თუ რამდენათ სასარგებლო იქნება იმისთვის, (მხოლოდ იმისთვის, ნუ დაივიწყებთ ამას) რომელიმე, მისი მოქმედება. რამდენს მოგებას მიიღებს, რამდენს სიამოვნებას, მერწმუნეთ, რომ ამ გვარი კაცი შეიძლება იყოს ვაჭარი, და არა გ მ ი რ ი, რომელიც უმსხვერპლის სიკაცობის თავის მოძმეთ; კეთილგონიერება და მხოლოდ ერთი კეთილი გონიერება ვერ შეიქმნება იმპულსათ უმაღლესის სათნოებისათვის. შირობა უმეტესად დაიბადება უანგარო მოტივებიდან და აქედანვე წარმოსდგებიან კეთილმოქმედებანი. მკითხველს: რა საჭიროება მოითხოვს ამ უანგარობას? მე პირდაპირად და გადაჭრით ვუპასუებ: საზოგადო ბედნიერება. ჩვენის აზრით რამდენათაც კაცში გაძლიერებული არიან უანგარო მოტივები, იმდენათ ის თავგამოდებით ელტვის საყოველთაო სიკეთეს. ჩვენ მოვიწოდებთ, რომ კაცში სათნოების სიყვარული ისე რიგათ იყოს უანგარო, როგორათაც ქვემარტებისა. და თუ შეიძლება უანგარო სიყვარული ქვემარტებისა, სასარგებლოა კაცობრიობისათვის, რატომ არ შეიძლება იყოს აგრეთვე სასარგებლოდ ამ გარევე სათნოების სიყვარულიც. ჩვენ ვამტკიცებთ (და კიდევ ვერაქნებ ჩვენს თავს სრულიად მართლად), რომ კაცს ქვემარტება სწორეთ ამ გვართ უნდა უყვარდეს. იგი უნდა იყოს საწადელი თავის თავად და თავის გულისთვის- შილოსოფთსმა ხმა-მალლიე და გულდათ უნდა იქადაგოს ქვემარტება და არ შეუშინდეს არა ვითარს დაბრკოლებას.

იმას მტკიცეთ უნდა სწამდეს, რომ ქვემარტება შეუდარებლად აღემატება ყოველს კერძო ანგარიშებს, იმას უნდა სწამდეს, რომ ქვემარტება აბსოლიუტურად სასარგებლოა კაცობრიობისათვის, რომლის წინაშეც ყველა ანგარიში დაკარგავს თავის ფასს. იმას უნდა აქედნეს სახეში უკანასკნელი მოქმედებანი ქვემარტებისა და არა მხოლოდ დაახლოებული პრაქტიკული მისი რეზულტატები; მისი გენიოსი უნდა იყოს მომეტებულიად თავისუფალი, რადგანაც ის არის კაცი უფრო მომავლისა, მინამ აწ მყოფის. იგი არის წინა მორბედი მყოფისა და დაბადებული ამისთვის, რომ მისკეს სიკაცობის ახალი მიმართულება. იგი ყველაზედ დიდად უნდა აფასედეს ქვემარტებას და თუნდაც საზოგადოებამ ეს ქვემარტება ჩასთვალოს საზოგადო კეთილდღეობის დამარღვეველად და განდევნოს იგი, იმას მაინც უნდა სწამდეს, რომ მისი უანგარო სიყვარული ქვემარტებისა თავის დროზედ მოუტანს კაცობრიობას უდიდესს სარგებლობას. სწორეთ ამ გვართვე (ამ გვართვე ძალით, სიღრმით და უანგარობით) უნდა უყვარდეს გმირს სათნოება. ვინ იტყვის, ვითარი იქნებოდა მთელი კაცობრიობის ცივილიზაცია, რომ ალკივიადი მცირედს თავის მოყვარებასთან ისეთის უანგარო ხასიათის კაცი ყოფილიყო, როგორც შამინონი და არისტოტილი? ვინ იცის, რა ალურიტევილი სარგებლობა მიეცემოდა მთელს კაცობრიობას, რომ ნაპოლეონში უფრო უძლიერესი ყოფილიყო საზოგადო ბედნიერების წადილი, მინამ თავის ბიროვნების გაღმერთება, რომელსაც ის ითხოვდა მთელის მერობისაგან? ამ გვარი მაგალითები ჩვენ ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ, ვგონებ, ესეც საკმარისია, მით უფრო, რომ ესეთი უდიდესნი მოაზრენი, როგორც მილლი და ბენნი ამ აზრისანივე არიან.

აქ საჭიროა უჩვენო მკითხველს ზნობითი მნიშვნელობა თავ შეწირულებისა, ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ თავის შეწირულება არც შესაძლებელია და არც საჭიროა, რომ ის სულ რომ ცოტა ესთქეთ, არის უფუნურება. მე კიდევ ვიტყვი, რომ ვინც ამ გვართ ფიქრობენ, ისინი დიდათა სცდებიან. მე შემიძლიან დაუმტკიცო მრავალის მაგალითებით, რომ მსხვერპლი შესაძლებელი საქმეა, შემოძლიან ცხადათ წარმოუდგინო მკითხველს მისი საჭიროებაც და თუ გნებავთ მიუცილებლობაც. ჩვენ ვკითხვავთ ჩვენს მოწინააღმდეგეს: შესაძლებელია თუ არა, რომ დედამ გასწიროს თავისი თავი შეიღის სიკაცობისათვის? შესაძლებელია თუ არა, რომ გმირმა უმსხვერპლს თავისი თავი კაცობრიობის სიკეთეს? შესაძლებელია თუ არა, რომ ფილოსოფოსმა მიიღოს სიკედილი იმ სიყვარულის ქვემარტებისათვის, რომელსაც ის თავგამოდებული ქადაგებს? თუ ამ კითხვებზედ ის უარს იტყვის, რასაკვირველია ამის შემდეგ იმასთან რაპარკიც შესაძლებელი არ არის. ის უარ ჰყოფს უდიდესს ისტორიულს ფაქტს. რა არის სოკრატის სიკედილი? თუ არა თავ-შეწირულება თავისის აზრისთვის. რა არის ჯვარცმა მაცხოვარისა, თუ არა მსხვერპლი კაცობრიობის გამოსახსნელად? და სხვ. და სხვ. ვგონებ, რომ ამის შემდეგ შესაძლებელი არ იყოს უარ ყოფა თავის შეწირულებისა. მშენებრად ამბობს ამის შესახებ პოეტი ჰენინე, რომ „სადაც უდიდესი სული გამოსთქვავს თავის აზრებს, იქ არის მისი გოლგოთაც“. მაშასადამე ჩვენს მოწინააღმდეგეს დარჩება სათქმელად მხოლოდ ის, რომ თავ შეწირულება არის უფუნურება, რომ იგი საჭირო არ არის. დახ, ეს მართალი იქნება მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს თავშეწირულება არ ეხმარება საზოგადო ბედნიერებას, მაგრამ არიან მტკიცე დამტკიცებანი, რომლებიც გვარწმუნებენ ჩვენ თავ-შეწირულების სარგებლობაში და არამთუ სა-

რგებლობაში, არამედ იმაშიც, რომ ის ყველაზედ უკეთესად ეხმარება საზოგადო სიკეთეს. მისაცა აქვს ერთი ისტორიული შეხედულობა, ის რასაკვირველია არ დაივიწყებს, რომ ყოველი სიკეთე, რომლითაც ეხლა ჩვენა ვსარგებლობთ, არის ნასყიდი ძვირფასად. რას წარმოგვიდგენს ჩვენ ისტორია, თუ არა სასტიკს ბრძოლას ახალისას და ძველისას, პროგრესისას და უძრავობისას, კეთილისას და ბოროტისას, ბრძოლას, რომელიც მოითხოვდა მრავლის შთამომავლობის მოღვაწეობას და პატიოსანის გვამების წამებულს სიკედილსკენ იქნება ისეთი ბრძოა, რომ არა ჰხედავდეს იმ უდიდესს ცელილებას, რომელიც კაცობრიობის ცხოვრებაში ამ ბრძოლისა გამო? ვინ უარჰყოფს, რომ ეს საშინელი კრიზისები არ შეიქმნენ მიზეზნი მთელის სოციალურის ცხოვრების განახლებისა, რომ უამათოთ იქნება ეხლაც კაცობრიობა გაუნათლებელი იქნებოდა? ამის დამტკიცებას სხვათა შორის წარმოგვიდგენენ ქრისტიანობა და რეფორმაცია, ისინი დაემკვიდრნენ კაცობრიობაში შემდეგ დიდის ხნის სასტიკის ბრძოლისა უმეტრებასთან. მსენი და უმრავლესნი სხვანი გვიმტკიცებენ, რომ კაცობრიობის გაუმჯობესობა ყოველთვის მოითხოვდა განმარტებულს მსხვერპლს საზოგადო სენის მებრძოლეთაგან და იმათის გმირულის მეცადინეობა აღმოიშობებოდა ახალი, უფრო უკეთესი და უფრო უმშენებრესი ცხოვრება. შემდეგ ამისა განა შეიძლება უარყოფთ თავგანწირულების ზნობითი მნიშვნელობა, როდესაც ვხედავთ, რომ ის ესე რიგათ ეხმარება კაცობრიობის ბედნიერებას? ვინ არა ჰხედავს ჩვენის დროს უმრავლესს ნაკლულევიანებას და უკეთეს ეს ნაკლულევიანებანი არსებობენ, უნდა კიდევ ვეცადნეთ, რომ ისინი შევამკვიროთ და ველტოდეთ იმ ზნობითის სისრულის იდეალს, რომელიც არის უკანასკნელი მიზანი ჩვენის ლტოლვილებისა; ამისა გამო მე ვამტკიცებ, რომ მინამ კაცობრიობა სცხოვრობს ნაკლულევიანებით, მინამ თავშეწირული საზოგადოსთვის შრომა იქნება კაცის უმაღლესს სათნოებათაგანი და ვინც ამალდება ამ ზნობითს სიმაღლემდე, ის არის დიდი ჩვენი უღრმესის სიყვარულისა და იგი არის ზედ მიწვენილი ტიპი იდეალურის კაცისა. უნდა ესთქეთ, რომ ქრისტიანობაც ამასვე გვიქადაგებს. სახარება გავუწყებს: „იმაზედ დიდი სიყვარული არავისა აქვს, ვინც თავის სიკაცობის გადასდებს თავის მოძმეთათვის“. მე ამ სიტყვებს უნდა დაუმატო ის, რომ ვისაც ამ გვართ უყვარს კაცობრიობა, ეს ყველაზედ მომეტებულიად ეხმარება მისს ბედნიერებას. ჩვენ ვგონებთ, რომ კაცს შეუძლიან უმსხვერპლს თავისი პირადი ბედნიერება სხვისა ბედნიერებას და ვამტკიცებთ, რომ ამ გვარი მოქმედება არის სათნოებით უმაღლესის ხარისხისა, რომელსაც ვერა გარდაემატება რა და ამ გვარს კაცზედ ვიტყვი პოეტის სიტყვებით: „მეტიერნი მხოლოდ სრულისა, ჰმუნეოდა მაგ შენს მწუხარს, ღამაზს თავს“ (ნეკრასოვი. „პოეტია და მოქალაქე“.) ხოლო იმათ ვინც ამტკიცებენ, რომ კაცი, რომელიც უმსხვერპლის თავის საზოგადო სიკეთეს ეძიებს მხოლოდ თავის სახელს და პატივს, მე მიუგებ შორჯ ჰენრის ნიუისის სიტყვებით დარწმუნებული ვარ, რომ ამაზედ უკეთესს ვერას ვუპასუებდი. იმას (ე. ი. ჰიორდანოს ბრუნოს) მიუწერენ ზოგიერთს უწმინდურს ლტოლვილებას და მისს მოქმედებაში შეპნიშენენ, როგორათაც თავგანწირულებას, იმდენათ გამოჩენის და სახელის განთქმის სურვილს, მაგრამ ივიწყებენ, რომ ამ ცხოვრებაში უდიდესნი კაცის სიყვარული აღსრულებიან კაცურის ღონისძიებაებით, რომლებშიც უწმინდური და თავმოყვარობითი შეადგენს ისეთსვე სასიკაცობო ელემენტს, როგორათაც კეთილშობილური. უდიდესს მებანიშში იმყოფება ალურიტევილი უმრავლესობა



იმით ჩვეულებრივი ჩარხებისა და ხშირად რომელიმე თვით უბრალო ჩარხი მონაწილე გმირულს საქმეში. უსამართლოება იქნება, რომ თუ ამას ამბობთ, ჩვენ ამით ვეთანხმებით ლაროშეუკოს შკოლასა. ეს შკოლა დიდათა სცდება, როდესაც მისი სიბრწყინავლეს მიუჭერს მისი ლაქებს და კაცის ზნეობის უმაღლესობას წარმოადგენს მისი სიმცირისაგან. მშობლის მოქმედების უანგარო მოტივებს ხშირად შეერთებენ თვით უბრალო, თავმოყვარეობითი ლტოლილებანი. უდა მოვიგონოთ მხოლოდ ის, რომ ძალიან ხშირად თავმოყვარეობის ლტოლილებას თანა არა მოსდევს არა ვითარცა გმირობა, რათა დავრწმუნდეთ, რომ თავმოყვარეობა და უანგარობა შეერთდებიან კაცის ბუნების საიდუმლო მესხანში, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ამით უანგარობას მაინც თავისი მნიშვნელობა არ წაერთმევა, ან გმირობის ღირსება არაოდეს არ დამცირდება, ის რა ფილოსოფია, რომელიც ჰხედავს. მხოლოდ ამო დიდების მოყვარეობას მოწამობაში, მხოლოდ პატივის მოყვარეობას უშიშარს ქვეშაობის ქადაგებაში, ოქრო არ ამოთხრება მიწიდან უყალბოთ, მაგრამ განა ამისგან იგი სიბუნებოთ დაიქცევა? (ფილოსოფიის ისტორია, თხზულება ჰორჯ ჰენის ლიუსისა, II გამოცემა, იხილეთ გვერდი 386 და 387, რუსულს ენაზე).

მკვენი ზნეობით კანონი ათის მეტად მაღალი; იგი მეტად ბევრს ითხოვს კაცისგან, იტყვის მკითხველი. ჩემის აზრით თუმცა ეს კანონი არის მაღალი, მაგრამ არაოდეს არ არის მიუწვდენელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ კაცისთვის ყოველგვარი სისრულე შეუძლებელი საქმა. არც ერთი ბრძენი არ იტყვის, რომ იმან მიახწივა გონებით სისრულეს, არც ერთის უწმინდურესს გვაშედე ვერაოდეს ვერ ვიტყვი, რომ ის ზნეობის მხრით ყოველისფერში სრული იყოს. აქ საქმე მდგომარეობს დაახლოებაში ამ სისრულისადმე და მუდამს ლტოლილებაში ამავე სისრულისადმი. ჩვენ რომ გვეკითხონ: „რას არჩევთ: ლტოლილებას ქვეშაობისა და კეთილისადმი, თუ მის სრულს მფლობელობას, ჩვენ უესინგთან ერთად ვიტყვით ლტოლიებას ქვეშაობისადმი (და ამას ჩემ თავად დავუმატებდი) და კეთილისადმი. იმ შეუსრულებელს ცხოვრებასთან, რომელიც ჩვენა ვსცხოვრობთ, საქმე ყოველის ნაკულევეანების შევსებაში კი არა მდგომარეობს, არამედ მათს შევსებაში და მუდამს ლტოლილებაში მათის შევსებისათვის იდეალური ტიპი კაცისა ჩვენ არკი წარმოვიდგენს აბსოლიუტურს სისრულეს, არამედ დაუწყობარებელს ლტოლილებას სისრულისადმი და მუდამს წინ-მსვლელობას; იქ, სადაც გაქრება კაცში წადილი ზნეობითის და გონებითის გაუკეთებებისა, იქ დასკვნება მისი უმწვენიერესი ყველი, იქ აღარ არის შინაგანი იმპულსი გმირობისა და გენიოსობისა. რაც შეეხება იმას, რომ კაცი ვერ დაფასებს ამ მაღალს ლტოლილებას, ვგონებ, რომ ამასაც ჰქონდეს თავისი წამალი. ეს წამალი მდგომარეობს კაცის გულისა და გონების განათლებაში. ჩვენ არა ვგონებთ, რომ ვინც განათლებულია, იმან უმეცრება ამგობინოს განათლებას; აგრეთვე გვგონებთ, რომ კაცი არ მოიწადინებს უგრძობელობას, კეთილ-მოქმედი—ბოროტ-მოქმედებას. მერწმუნეთ, რომ მისი გული ჰპოვებს უდიდესს მოთხოვნილებას კეთილმოქმედებაში და მისი მოკლება შეადგენს მისთვის ისეთს ნაკულევეანებას, რომელსაც ვერაფერი ვერ შეავსებს და თვით სიცოცხლე დაჰკარავს იმის თვალში ყოველ გვარს ღირსებას. მის გულშია ცალიდებული ამ გვარი მოთხოვნილება ის ბუნებითად შეიძლება ბოროტს და არ შეიწყნარებს იმ გვარს საქციელს, რომელიც დაარღვევს კაცთა ბედნიერებას, რადგანაც კეთილი შეიცავს ამ გვარს მიმზიდველს ძალას, ამისგანაც ის არ შეჭრაცხს მას ისეთს მაღალს მიზნათ, რომლის მიხწევაც შეუძლებელია.

მე რასაკვირვებია არ უარყოფ, რომ ზნეობის გახსნას შეიძლება ჰქონდეს თავისი მაღალი და დაბალი ხარისხი, და ვამბობ, რომ ფრიად საწადელია ამ უმაღლესის ხარისხის მიხწევა და ამასთან არ ეითხოვება ამას ყოველის კაცისაგან აბსოლიუტურად, მიუკლებლად. მე არ ვეიწყებ, რომ ძველს საქურქლემში ახალს ღვინოს არ ჩაასხმენ, და ვამბობ, რომ კაცის გული არის საწყაული, რომელმაც უნდა დაიტვიფოს იმდენი, რამდენის დატევაც შეუძლიან. ჩვენი ზნეობითი კანონი ეს არის: კაცის ზნეობითი ღირსება განიზომება ვითარებით და რადენობით მისთა კეთილთა საქმეთა. მაშასადამე კაცი რამოდენათაც მომატებულს სარგებლობას მოუტანს თავის მოძმეს, იმდენათ იგი მომეტებულს სიყვარულს და პატივისცემას მოიპოვებს ჩვენ გულში და მისი სახელი საშვილის-შვილოდ გარდაცემა: მე საქმაოდ ვრაცხ ამ პასუხს და ვგონებ, რომ ჩვენი აზრი ქვეშაობითია.

რაც შეეხება კაცის პირადს სარგებლობას და კმაყოფილებას, ჩვენ ამის წინააღმდეგნი არა ვართ. ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ, რომ არსებობდეს სრული ჰარმონია კაცის პირადს ბედნიერებასა და საზოგადო ბედნიერებას შორის, ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ იმას, რომ კაცმა შეიყვაროს თავისი მოყვასი ისე, როგორათაც უყვარს თავისი თავი, რომ იმან არ მოიწადინოს სხვისა უბედურება, როგორათაც არა სწადს თავისი უბედურება. და ან რა საჭიროება მოითხოვს, რომ კაცი ჩაგრავდეს თავის პარონებში და მხოლოდ თავის პარონებში. ბანა ეს მიუცილებლად საჭიროა მისი ბედნიერებისათვის. ბანა სხვის ბედნიერება გამაჩრცხავს მის ბედნიერებას? განა საერთო ბედნიერებასთან არ არის შეკავშირებული მისი პირადი ბედნიერება? გვეუბნებიან, რომ კაცი საზოგადოთ არის თავის მოყვარე. ძარგი, მაგრამ კი უარყოფს ამას? ვინ არ იცის, რომ საზოგადოთ თავ მოყვარება არის დედაკანონი კაცის მოქმედებისა. ჩვენ არამთუ ამას არ უარყოფთ, არამედ ვამტკიცებთ კიდევ რომ მას აქვს ჩვენს ბუნებაში უფრო უღმერსი საფუძველი, რომელსაც ძნელად წარმოვიდგენ ჩვენი მოწინააღმდეგენი: იმას აქვს თავისი ფესვი ჩვენს თავის დაცვაში, რომელსაც ვაძვებთ ყოველს ცოცხალს არსებაში. ამისათვის მკითხველმა ის უნდა იფიქროს, რომ ამ გვარი აზრები ჩვენ არა გვექონდა სხეში; თვით ეს თავის დაცვა ითხოვს, რომ მან პატივი სცეს და არ შეეხოს სხვისა სიკეთეს; უამისოთ რა გარანტია ექნება მის თავის დაცვის გრძობას. თუ ისა ჰგობს სხვისა სიცოცხლეს, რატომ არ უნდა მოელოდეს ამასვე სხვებისაგან, და სად უფრო კარგათ შეუძლიანთ კაცს დაიცვას თავისი თავი საზოგადოებაში, თუ ველურს მდგომარეობაში? ნუ დავიფიქვებთ იმას, რომ ეს საზოგადო სიკეთე არის თვით ჩვენი სიცოცხლე, და ბედნიერება, რომელსაც იღვით ის უნდა იცავდეს და რომელსაც ის იცავს თვით საქმით იმდენათ, რამდენათაც საზოგადო ბედნიერება არის სრული. მე არ ვეჭობ, რომ კარგი საზოგადო ცხოვრება ის არის, რომელიც მიანიჭებს ყოველს კერძო პირს მომეტებულს ბედნიერებას და მომატებულს პატიოსნებას თავის მოქმედებაში და ამასვე დაურთობ იმასაც, რომ გახსნილი საზოგადო ცხოვრება ის არის, სადაც როგორც საზოგადოება ზრუნავს ყოველს კერძო კაცზედ, ისე თავის კელოდ ყოველი კერძო კაცი ელტვის საზოგადოების სიკეთეს. მაშასადამე განათლებით კაცი და მერწმუნეთ, რომ ის უეჭველად მიატყვევს ყურადღებას საზოგადო ინტერესებს და ბუნებითად არ მოიქმედებს იმ გვარს საქმეს, რომელიც საწინებელია მთელის საზოგადოებისათვის. ამას დაუმატოთ ისიც, რომ უმრავლესნი

შინაგანი და გარეგანი სანქციები ეხმარებიან ამ გრძობის გაღვივებას კაცის გულში. მოველის ფერი შეერთდება, რომ გაიტაცოს ჩვენი ლტოლილება იმ საერთო ცენტრამდის, სადაც სძევს მიზანი ჩვენის საზოგადო მიმომზიდველობისა, ამათის შემწეობით, ჩვენ ნათლათა ვცნობთ ჩვენს ერთობას მოყვასთან, რომ იმასაც ასხია ის ხორცი და უდგას ის სული, რაც ერთს ჩვენგანს. ჩვენ უნებლიე მონაწილენი ვართ საყოველთაო კეთილ-დღეობაში და აგრეთვე საყოველთაო ტანჯვაში. შეეღა რაც კი ჰხდება საზოგადო ცხოვრებაში მიიტაცებს ჩვენს ყურადღებას, დაჰბადებს ჩვენში ახალს აზრებს, ახალს გრძობებს და ამისგანაც ვგრძობთ ჩვენს სულში რაღაც გამოუთქმელს ნეტარებას, რაღაც სიხალეს, რაღაც გონების და გულის განსეტყვებას; ჩვენ ვაძვებთ ჩვენს არსებაში ბუნებას, კაცობრიობას და მეცნიერებას. ჩვენ ვაფასებთ გონების სიძლიერეს და ვსცნობთ იმ მიზეზებს, რომელნიც მოქმედებენ მთელს სამყაროში,—იხი სანატრელი ცხოვრება, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ეწოდოს კაცური და რომელიც შეიძლება მხოლოდ საზოგადოებაში და იმეგარა საზოგადოებაში, სადაც საყოველთაო ბედნიერება არის გავრცელებული და გაძლიერებული. შემდეგ ამისა რაღა მიზეზები უნდა იყენენ, რომლებიც ძალითაც ჩვენ უნდა ვადიდოთ ჩვენი „მე“ და ამაზედ დავააროთ განსაკუთრებითი კულტი, სად არიან ისეთნი უძლიერესნი მიზეზნი, რომლებსაც ძალიდღათ დავაფიქვონ ჩვენი გარე-შემო და გვაკმაყოფილონ მხოლოდ ჩვენის ინდუვიდუალურის მყოფობით?

მაშასადამე ჩვენ ვერას გზით ვერ შეგვიძლიან განვაშროთ ჩვენი თავი საზოგადოებას, არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ სრულიად იმ გვარი პირადი ბედნიერება, რომელიც არ ეთანხმება სხვისა სიკეთეს, თუ კი საქმაოთ გახსნილი არიან ჩვენი გული და გონება. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ აღზრდა და ქრისტიანობა ამასვე ელტვიან, მათ შეუძლიანთ სიყმაწვილიდგანვე ჩანერგონ ჩვენს გულში გრძობა ჩვენის ერთობისა მოყვასთან, გაღვივონ მასში თანაგრძობა მის სიხარულისა და მწუხარებისადმი და არის ეჭვი, რომ ამ გვარ კეთილ მოქმედთ შთაბეჭდილებათაგანაც იმის გულში ადევნება სიყვარული თავის მოყვასისა და შეიქმნება იმ უძლიერესს გრძობათ, რომელიც ბევრჯელ თავის თავსაც დაავიწყებს საზოგადო კეთილისათვის, იმ გრძობათ, რომელიც მას ანეტარებს თვით სიკედილის ყამს. და შემდეგ ამისა კიდევ იტყვიან, რომ იმაში ვერა ჰპოვებს ჩვენი პარონება თავის დაკმაყოფილებას? ნუ თუ კიდევ უარს ჰყოფს ვინმე, რომ ჩვენი ზნეობითი კანონი არას ეუბნება კაცის გულს, რომ არის კიდევ სხვა, რომელსაც ძალუქს ერთი უმაღლესი და სრული გახსნა მისცეს ჩვენს ბუნებას.

უკანასკნელ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არ უყურებთ კაცის ბუნებას ერთ მხრის. ჩვენ არას დროს არ უარყოფთ კაცის პირადს საქმე მხარის ბედნიერებას. წინააღმდეგ ამისა ჩვენ დიდათა ვესურს და მიუცილებლად ვითხოვთ ამაში ჩვენ ვეღარა დავაბრკოლებსრა, რადგანაც ზრუნვა ჩვენის საკუთარის სიკეთისათვის არის უპირველესი ფასი ანუ მძარევი ჩვენის ცხოვრებისა და მსოფლიო კანონი კაცის მოქმედებისა, რომ ყოველი პირი ველტოდეს თავის ქვეშაობის ბედნიერებას და წარმატებულნი ვართ, რომ იგი შეემატება მთელს საზოგადოებასაც, მაგრამ, ვინც ელტვის თავის საკუთარს განათლებას, ის ამით არამ თუ მხოლოდ თავის თავს ასარგებლებს, არამედ საზოგადოებასაც და მაშასადამე ამ გვარი ლტოლივა ფრიად საწადელია დიდის პატივისცემის ღირსია. ამ გვართვე

არიან სხვა გვარნი ლტოლილებანი, რომლებიც ბის გაძლიერებაც ყოველს კაცში ჩვენა ვესურს; არიან იმ გვარნიც, რომელნიც სასარგებლონი არიან განსაზღვრულს ხარისხამდე და ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით იმათ, მინამდისინ ისინი საწინებელი არ შეიქმნებიან საზოგადოებისათვის. მაგრამ არიან მიდრეკილებანი კაცის ბუნებაში, რომლებიც თანაგრძობა არაოდეს არ შეიძლება, მაგალ. უკიდურესი თავმოყვარება და ყოველგვარი ბოროტ-მოქმედებანი.

აქედანვე ცხადდება ისიც, რომ მე არ ვუკრძალავ კაცის მატერიალურს კმაყოფილებას, მე არაოდეს არ ვამტკიცებ, რომ კაცი მატერიალურს ინტერესებს არ უნდა ელტოდეს. ძაცი როგორათაც კდილობს თავის სულიერის ძალის გახსნას, ისე გარეგანის კეთილ-მდგომარეობის გაუმჯობესობასაც. ზოგი ერთი აძლევს უპირატესობას სულს, ზოგი კი სხეულს; ზოგი რჩეულობს სულიერს კმაყოფილებას, ზოგი კი მატერიალურს. შემეტსება სარგებლობს მხოლოდ მატერიალურის კმაყოფილებით და მხოლოდ ასში ერთს კაცს აქვს შეძლება გონებითის კმაყოფილებითის მიღებისა, მაგრამ ნურავის ვგონებ, რომ ეს უმეტესობა არ საჭიროებს გონებითს კმაყოფილებაში, თუ კი წყარო ამ გვარის კმაყოფილებისა არ იყოს იმისთვის დაზმული. მკვი არ არის რომ სულიერნი კმაყოფილებანი არიან უფრო ხანგრძლივნი, მრავალ-გვაროვანი, კეთილშობილნი და უმეტესს სარგებლობას მოუტანენ კაცობრიობას, მაგრამ მეორეს მხრით, მატერიალური კეთილ-მდგომარეობა შეადგენს ფიზიკურს კმაყოფილებას, რომლის მოქმედებაც გავრცელებდა უფრო უმრავლესს პირებზედ და რომლის მოკლება შეადგენს იმათთვის პირდაპირს ტანჯვას და უბედურებას. ამისგანაც ჩვენი ზნეობითი მოცილობა მდგომარეობს სხვათა შორის იმაში, რომ გავავრცელოთ შეძლებებისამებრ მატერიალური კეთილ-მდგომარეობა სახლში და რადგანაც ჩვენს სიცოცხლეში და ბედნიერებაში მონაწილენი არიან, როგორათაც სული, ისე სხეული, ამისგანაც მოვიწადინებთ ფიზიკურს კმაყოფილებას უმეტესად იმათთვის, ვისთვისაც ეს ყველაზედ ძვირფასია და უდიდესი საქმეც არის. მინ არ მოიწადინებს ჩვენის გლახებისთვის მატერიალურს კეთილ-მდგომარეობას და რომელი უგრძობელი კაცი იქნება, რომ არ შეხაროს ყოველს მის მატერიალურს შემატებას. მე სრულიად დავიერებული ვარ, რომ ძნელად იქნება ისეთი კაცი, რომელმაც დავიწყოს დამტკიცება, ვითომც მატერიალურს კეთილ-მდგომარეობას არა ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა მთელს ხალხის ცხოვრებაში. ამ მატერიალურს კეთილ-მდგომარეობასთან არის შეკავშირებული სოციალური პროგრესი და სადაც არ არის იგი (კეთილმდგომარეობა), იქ კეთილიზაცია არ შეიძლება. მაგრამ ამასთან ჩვენ არ უნდა დავიფიქვოთ მომენტით და ზნეობითი მხარე კაცისა. იმათი მნიშვნელობა კაცობრიობისთვის მეტად დიდია, რომ ისინი უყურადღებოდ დავსტავოთ. თუმცა კაცის ზნეობითს და გონებითს გახსნას თავის თავათაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, რადგანაც იგინი პირდაპირად დაკმაყოფილებენ ჩვენ სულიერს მოთხოვნილებათ, მაგრამ უკეთუ ვაფიქვინჯავთ იმათ პრაქტიკულს რეზულტატებს, ჩვენ დავრწმუნდებით რომ ყოველ გვარი მატერიალური კეთილ-მდგომარეობა არის დამოკიდებული სრულიად ზნეობითს და გონები იღვებზედ. ჩვენ ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ იქ სადაც არ არის სულიერი პროგრესი, იქ არ შეიძლება მატერიალურის კეთილმდგომარეობის გაუმჯობესობა; წინ მსვლელი სულიერი პროგრესი გაიტაცებს თავის მსვლელობაში მატერიალურს ქვეყანასაც და გამოაწილებს ყოველგვარს მატერიალურს გაუმჯობესობას. მარეგანი მხარე კეთილშობილის ყოველთვის გამოაშკარავებს მის შინაგანს სულიერს მხარესაც. მათის ძალა მეორეთი განიზომება. ამის დასამტკიცებელი ფაქტები უმრავლესია და იმათი მოყვანა აქ, ვგონებ უალბგო იქნება. ძაცი სულიერის გახსნის სრულს მნიშვნელობას წარმოადგენს მკითხველს, როდესაც გონებითს გახსნაზედაც მოვილაპარაკებთ,

30 ივლისს.
1868 წელს.